ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/ე 586-12 20 11 2012 წ.

დადგენილება №000103
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

20.11.2012წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ ცურახია ზაბუამ განვიხილე 2012 წლის 20 ნოემბრის №000103 შემოწმების აქტი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ, შედგენილი შ.პ.ს. "ფარმინა"-ს (მის: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. №6, ნაკვეთი №008/005) მიმართ "პრივატიზების შესფრთხეებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №6, ნაკვეთი №008/005-ზე შ.პ.ს. "ფარმინა"-ს მიერ განხორციელდა შ.პ.ს. "ფარმინა"-ს ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/3787 13.12.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადის მოპირკეთება არ შეესაბამება საპროექტოს. დამატებულია ვამწოვი ღიობები. ფასადებზე შეცვლილია ღიობების ნახატები, გაბარიტები და რაოდენობა. წყლის შემკრებ მილებს მოხაზვლებული აქვს ადგილი. შემცირებულია „4ბ-4ბ" და „3ბ-3ბ" ღერძებს შორის მანძილი, დაახლოებით 0.3მ-ით. ასევე შემცირებულია „5ა-5ა" და „6ა-6ა" ღერძებს შორის მანძილი და აღნიშნული ორი ღერძი არ არის მოწყობილი პარალელურად. „2ბ-2ბ" მოხაზვაში მცირდება შეცვლილია მიდა კიბის და კიბის ღიობის გაბარიტი. I სართულზე „1ა-1ა" ღერძის გარეთ შეცვლილია სახრდილობლის გაბარიტი, ასევე გაუქმებულია კიბის საფეხურები და დამატებულია პანდუსი. ვიტრაჟები მოწყობილია „1ა-1ა" ღერძზე მიდა კიბე, „2ბ-3ბ" მოხაზვეთის ნაცვლად მოწყობილია „3ბ-4ბ" მოხაზვაში. „3ბ-4ბ" მოხაზვაში გაუქმებულია პანდუსი, „4ბ-4ბ" ღერძთან დამატებულია კიბეები და რკინის მილის სვეტები. „5ა-6ა" მოხაზვაში ამოშენებულია ვერტ. II და III სართულებზე ვიტრაჟები მოწყობილია „1ა-1ა" ღერძზე. [illegible] გაუქმებულია ავზები და ვიტრაჟები

მოწყობილია გარე ღერძებზე. სხვენში ახალ შიდა კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია კონფიგურაცია. შეცვლილია აივნის მოაჯირის ნახატი, დამატებულია ლითონის დეტალი. გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე, დაახლოებით 0.5მ-ით. ასევე გაზრდილია სახურავის სიმაღლე, დაახლოებით 1.2მ-ით. შეცვლილია ტერასის გაბარიტი. დამატებულია წყლის გადამყვანი ორი მილი. გაუქმებულია სამი კოლონა.

2012 წლის 20 ნოემბერს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000103 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ". საქმეშია, მხარის №12/177380-16 15.11.2012წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ფარმინა"-ს მიერ ნადენილია "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №6, ნაკვეთ №008/005-ში შ.პ.ს. "ფარმინა"-ს მიერ განხორციელდა შ.პ.ს. "ფარნიმა"-ს ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/3787 13.12.2011წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ. ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ფარმინა" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ფარმინა"-ს დაევალოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22,** **საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** **გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ფარმინა"-ს დაევალოს, შესაბამისი გადასახადის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ხაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასახივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე გ. ჯაბუა

№000103 შემოწმების აქტის დანართი (ერთ ფურცლად)

ფასადის მოპირკეთება არ შეესაბამება საპროექტოს. დამატებულია გამწოვი ღიობები. ფასადებზე შეცვლილია ღიობების ნახატები, გაბარიტები და რაოდენობა. წყლის შემკრებ მილებს მონაცვლებული აქვს ადგილი. შემცირებულია „4ბ-4ბ" და „3ბ-3ბ" ღერძებს შორის მანძილი დაახლოებით 0.3მ-ით. ასევე შემცირებულლია „5ა-5ა" და „6ა-6ა" ღერძებს შორის მანძილი და აღნიშნული ორი ღერძი არ არის მოწყობილი პარალელურად. „1ბ-2ბ" მონაკვეთში მცირდით შეცვლილია შიდა კიბის და კიბის ღიობის გაბარიტი.

პირველ სართულზე „1ა-1ა" ღერძის გარეთ შეცვლილია საჩრდილობლის გაბარიტი, ასევე გაუქმებულია კიბის საფეხურები და დამატებულია პანდუსი. ვიტრაჟები მოწყობილია „1ა-1ა" ღერძზე. შიდა კიბე, „2ბ-3ბ" მონაკვეთის ნაცვლად მოწყობილია „3ბ-4ბ" მონაკვეთში. „3ბ-4ბ" მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი. „4ბ-4ბ" ღერძთან დამატებულია კოლონები და რკინის მილის სვეტები. „5ა-6ა" მონაკვეთში ამოშენებულია ვერანდა.

მეორე და მესამე სართულებზე ვიტრაჟები მოწყობილია „1ა-1ა" ღერძზე. ასევე გაუქმებულია აივნები და ვიტრაჟები მოწყობილია გარე ღერძებზე.

სხვენში ამავალ შიდა კიბეს მონაცვლებულია აქვს ადგილი და შეცვლილია კონფიგურაცია. შეცვლილია აივნის მოაჯირის ნახატი, დამატებულია ლითონის დეტალი. გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე დაახლოებით 0.5მ-ით. ასევე გაზრდილია სახურავის სიმაღლე დაახლოებით 1.2მ-ით. შეცვლილია ტერასის გაბარიტი. დამატებულია წყლის გადამყვანი ორი მილი. გაუქმებულია სამი კოლონა.

მთავარი სპეციალისტი _____ /კ. გიორგობიანი/

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარაი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

_____

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე № 385

ID 270244158

ProCredit Bank

გადამხდელის დასახელება	შპს ფარმინა	თანხა ციფრებით 3000.00 **GEL** თანხა სიტყვებით სამიათასი ლარი 00 თეთრი
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	204923413	
ანგარიშის ნომერი	GE22PC0453600100002942	
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22	
საბიუჯეტო / სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა		☐ სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო) სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 09:30 სთ-დან 16:00 სთ-მდე
დასახელება	შპს ფარმინა	
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	204923413	
მიმღების დასახელება	ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო შემოსულობები/თბილისი)	**ბანკის აღნიშვნები** ბანკში შემოსვლის თარიღი **22.11.2012 12:26** ხელმოწერა ---------------------------------
ანგარიში / სახაზინო კოდი	300773263	
მიმღების ბანკი / ხაზინა	სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22	
გადახდის დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	
დამატებითი ინფორმაცია		
ხელმომწერები --------------------------------- ---------------------------------	ბეჭდის ადგილი თარიღი: **22.11.2012**	პროკრედიტ ბანკი PROCREDIT BANK ელექტრონული მომსახურების ცენტრი ELECTRONIC SERVICE CENTER